

სს ისანი-ქართუ
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს ისანი-ქართუ
საპროექტო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა	9
2 შესაბამისობის განაცხადი	9
3 მომზადების საფუძველი	10
4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	16
6 ფული და ფულის ეკვივალენტები	16
7 დებიტორული დავალიანება	17
8 ძირითადი საშუალებები	17
9 საინვესტიციო ქონება	17
10 საგადასახადო ვალდებულება	18
11 სააქციო კაპიტალი	18
12 შემოსავლები	19
13 ფინანსური რისკების მართვა	19
14 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები	22
15 დაკავშირებული მხარეები	23
16 პირობითი ვალდებულებები	24
17 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	24
18 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	24

სს ისანი-ქართუ
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "ისანი-ქართუ"-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3-ში აღწერილი მომზადების საფუძველის მიხედვით;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ავთანდილ ჯანაშია
დირექტორი

ლოტბარ ჩხარტიშვილი
მთავარი ბუღალტერი

სს ისანი-ქართუ

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

სს ისანი-ქართუ

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "ისანი-ქართუ"-ს ხელმძღვანელობა.


ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3-ში აღწერილი მომზადების საფუძველის მიხედვით;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:



აუთენტიკაცია
დირექტორი

სს ისანი-ქართუ

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

მ. ჩხარტიშვილი
ლოტბარ ჩხარტიშვილი
მთავარი ბუღალტერი

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
სს ისანი-ქართუ-ს მენეჯმენტს****მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ სს "ისანი ქართუ"-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 4-ში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მნიშვნელოვანი გარემოებები - მომზადების საფუძველი

დასკვნის მოდიფიცირების გარეშე, ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3-ზე, სადაც აღწერილია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. სს "ისანი ქართუ"-ს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია რათა დააკმაყოფილოს ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნები.

მნიშვნელოვანი გარემოებები - დაკავშირებულ მხარეები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-15 შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ გარემოებას ჩვენს მოსაზრებაზე გავლენა არ მოუხდენია.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 4-ში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეკმავეთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო



სს ისანი-ქართუ
საქმიანო-ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-17	01-იან-17
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	27,686	36,432
დებიტორული დავალიანება	7	836,311	574,873
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე		91,655	91,655
სულ მიმდინარე აქტივები		955,652	702,960
ძირითადი საშუალებები	8	217,736	247,550
საინვესტიციო ქონება	9	10,471,673	10,531,617
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,689,409	10,779,167
სულ აქტივები		11,645,061	11,482,127
სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები		36,482	57,624
საგადასახადო ვალდებულება	10	17,821	20,833
სულ მიმდინარე ვალდებულებები		54,303	78,457
სააქციო კაპიტალი	11	3,665,293	3,665,293
დაგროვილი მოგება / (ზარალი)		7,925,465	7,738,377
სულ კაპიტალი		11,590,758	11,403,670
სულ ვალდებულება და კაპიტალი		11,645,061	11,482,127

ავთანდილ ჯანაშია
 დირექტორი

ლოტბარ ჩხარტიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

სს "ისანი-ქართუ"

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

სს ისანი-ქართუ
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-17	01-იან-17
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	27,686	36,432
დებიტორული დავალიანება	7	836,311	574,873
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე		91,655	91,655
სულ მიმდინარე აქტივები		955,652	702,960
ძირითადი საშუალებები	8	217,736	247,550
საინვესტიციო ქონება	9	10,471,673	10,531,617
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,689,409	10,779,167
სულ აქტივები		11,645,061	11,482,127
სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები		36,482	57,624
საგადასახადო ვალდებულება	10	17,821	20,833
სულ მიმდინარე ვალდებულებები		54,303	78,457
სააქციო კაპიტალი	11	3,665,293	3,665,293
დაგროვილი მოგება / (ზარალი)		7,925,465	7,738,377
სულ კაპიტალი		11,590,758	11,403,670
სულ ვალდებულება და კაპიტალი		11,645,061	11,482,127

ავთანდილ ჯანაშია
დირექტორი

სს "ისანი-ქართუ"




ლოტბარ ჩხატურიანი
მთავარი ბუღალტერი

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

სს ისანი-ქართუ
საკმედიო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2017
შემოსავალი	12	900,513
თვითღირებულება		(475,363)
საერთო მოგება		425,150
ცვეთა და ამორტიზაცია		(89,218)
ხელფასის ხარჯი		(99,289)
საგადასახადო ხარჯები		(42,430)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(7,125)
საოპერაციო მოგება		187,088
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		187,088
სხვა სრული შემოსავლები		-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		187,088

ავთანდილ ჯანაშია
 დირექტორი

ლოტბარ ჩხარტიშვილი
 მთავარი ბუღალტერი


სს "ისანი-ქართუ"

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

სს ისანი-ქართუ
საპროექტო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2017
შემოსავალი	12	900,513
თვითღირებულება		(475,363)
საერთო მოგება		425,150
ცვეთა და ამორტიზაცია		(89,218)
ხელფასის ხარჯი		(99,289)
საგადასახადო ხარჯები		(42,430)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(7,125)
საოპერაციო მოგება		187,088
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მიმდინარე წლის წმინდა მოგება / (ზარალი)		187,088
სხვა სრული შემოსავლები		-
მიმდინარე წლის სრული შემოსავლები		187,088



ავთანდილ ჯანაშია
დირექტორი

სს "ისანი-ქართუ"

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

ლ. მკაბიძე
ლოტბარ ჩხარტიშვილი
მთავარი ბუღალტერი

სს ისანი-ქართუ
საქმიანო-დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები		801,831
გადახდილი კომუნალური გადასახადები		(583,170)
გადახდილი გადასახადები		(141,231)
გადახდილი ხელფასები		(80,042)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(6,134)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(8,746)
წმინდა ზრდა / (კლება) ფულის და ფულის ეკვივალენტების		(8,746)
ფული და ფულის ეკვივალენტების პერიოდის დასაწყისში		36,432
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	6	27,686

ავთანდილ ჯანაშია
 დირექტორი

ლოტბარ ჩხარტიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

სს "ისანი-ქართუ"

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

სს ისანი-ქართუ
სამცხალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2017
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები		801,831
გადახდილი კომუნალური გადასახადები		(583,170)
გადახდილი გადასახადები		(141,231)
გადახდილი ხელფასები		(80,042)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(6,134)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(8,746)
წმინდა ზრდა / (კლება) ფულის და ფულის ეკვივალენტების		(8,746)
ფული და ფულის ეკვივალენტების პერიოდის დასაწყისში		36,432
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	6	27,686

აუთანდილ ჯანაშია
დირექტორი

სს "ისანი-ქართუ"

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018

ლ. ჩხარტიშვილი
ლოტბარ ჩხარტიშვილი
მთავარი ბუღალტერი

სს ისანი-ქართუ
საპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 01 იანვარს	3,665,293	196,096	7,542,281	11,403,670
პერიოდის წმინდა შედეგი 2017	-	187,088	-	187,088
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	3,665,293	383,184	7,542,281	11,590,758

ავთანდილ ჯგანაშია
დირექტორი

ლოტბარ ჩხარტიშვილი
მთავარი ბუღალტერი

სს "ისანი-ქართუ"

თარიღი: 12 დეკემბერი, 2018


სს ისანი-ქართუ
საპროექტო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 01 იანვარს	3,665,293	196,096	7,542,281	11,403,670
პერიოდის წმინდა შედეგი 2017	-	187,088	-	187,088
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	3,665,293	383,184	7,542,281	11,590,758

აუთანდილ ჯანაშია
დირექტორი
სს "ისანი-ქართუ"
თარიღი: 12 დეკემბერი, 2018




ლოტბარ ჩხარტიშვილი
მთავარი ბუღალტერი

სს ისანი-ქართუ

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს "ისანი-ქართუ"-ს (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას.

სს "ისანი-ქართუ" (ს/კ 206026423) დარეგისტრირდა 1996 წლის 26 აგვისტოს ქ. თბილისში, საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ბ. ხმელნიცკის ქ., № 42.

წესდების მიხედვით, სააქციო საზოგადოების ძირითად საქმიანობის სფეროს დაფუძნების დღიდან წარმოადგენდა ყველა სახის ფეხსაცმლის წარმოება და რეალიზაცია, ნატურალური და ხელოვნური მასალებისგან სხვადასხვა დანიშნულების საჯარო მოხმარების საგნების წარმოება და რეალიზაცია, სპეცდანიშნულების საგნების და აღჭურვილობის დამზადება და რეალიზაცია, და სხვა საქმიანობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის.

ამჟამად საწარმოს ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს სასაწყობო ფართების გაქირავებით და სხვა დაკავშირებული მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლები.

სს "ისანი ქართუ"-ს საბოლოო მაკონტროლებელი ბენეფიციარი არის უტა ივანიშვილი.

კომპანიის მართვის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო და გენერალური დირექტორი.

სს "ისანი-ქართუ"-ს აქციონერები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

მეწილე	31-დეკ-17	01-იან-17
სს ქართუ ჯგუფი	93.07%	93.01%
სს საქართველოს ფასიანი ქაღ. ცენტრ. დეპოზიტარი (ნომინალური მფლობელი)	2.90%	0.00%
სს ს/კ ვანო და კომპანია	0.00%	2.90%
RIGOLD FINANSE LIMITED	0.86%	0.86%
სს ცენტრალური საინვესტიციო კომპანია	0.69%	0.69%
სხვა 1,104 აქციონერი	2.49%	2.55%
	100%	100%

2017 წელს სს "ს/კ ვანო და კომპანია"-მ კუთვნილი აქციები ბირჟაზე გაიტანა გასაყიდად და შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 69,228 ცალი ჩვეულებრივი აქცია (მთლიანი აქციების 2.90%) იმყოფება სს "საქართველოს ფასიანი ქაღ. ცენტრ. დეპოზიტარი"-ს მფლობელობაში.

კომპანიაში 2017 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო 8 თანამშრომელი. (2016: 9 თანამშრომელი)

შენიშვნა 2 შესაბამისობის განაცხადი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმდაგვარად, რომ დაეხმაროს კომპანიას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე ("ფასს") გადასვლაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სს ისანი-ქართუ

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 2 შესაბამისობის განაცხადი (გაგრძელება)

თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტების და ინტერპრეტაციების, მოვლენების და გარემოებების, აგრეთვე სააღრიცხვო პოლიტიკების საუკეთესო ცოდნა, რომლებსაც კომპანია გამოიყენებს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშების მომზადებისას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შესაბამისად, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ არის განკუთვნილი კომპანიის სრული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისათვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და დაყოფილია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასების და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები, როგორც ეს აღწერილია შენიშვნა 2-ში. შედეგად, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ გამოდგეს სხვა მიზნებისათვის. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს.

ფასს-ებზე გადასვლის მიზნით კომპანიამ განახორციელა ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეფასება რეალური ღირებულებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. რეალური ღირებულება კომპანიამ გამოიყენა როგორც დასაშვები ღირებულება და ფასს-ებზე გადასვლის თარიღისათვის წარადგინა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დასაშვები ღირებულებით:

	ფასს-ებზე გადასვლამდე 01-იან-2017	ცვლილება	ფასს-ებზე გადასვლის შემდეგ 01-იან-2017
ძირითადი საშუალებები	480,739	(233,189)	247,550
საინვესტიციო ქონება	2,853,412	7,678,205	10,531,617

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

4.1 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე და ფულს სალაროში.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.2 დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ მცირდება საეჭვო ვალებისათვის შექმნილი რეზერვის მოცულობით. კომპანიები საეჭვოდ მიიჩნევენ მოთხოვნებს სადაც არსებობს დასაბუთებული მოლოდინი, რომ დებიტორისაგან მისაღები თანხა ვერ იქნება სრულად მიღებული. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დებიტორული დავალიანებების ნაშთები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. როდესაც მოთხოვნების ამოღება არ ხერხდება, ხდება მათი ჩამოწერა საეჭვო მოთხოვნების ანარიცხის შემცირების გზით. ჩამოწერილ აქტივებზე თანხის მიღება აისახება მოგება ზარალში.

4.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადამცემი მოწყობილობების, გათბობის და სავენტილაციო მოწყობილობების, სხვა სატრანსპორტო აღჭურვილობების და ოფისის აღჭურვილობის შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც გააჩნია შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. შეფასებული რეალური ღირებულება განხილულია როგორც პირობითი საწყისი ღირებულება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ზემოთ მოცემული ძირითადი საშუალებები აღირიცხება ცვეთის თანხით შემცირებული ღირებულებით. ამ ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
გადამცემი მოწყობილობა	10-20 წელი
გათბობის და სავენტილაციო მოწყობილობები	13-20 წელი
სხვა სატრანსპორტო აღჭურვილობა	7-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	15 წელი

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოთვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.4 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონებას განეკუთვნება ისეთი ქონებაც, რომლის მშენებლობა ან განახლება მიმდინარეობს საინვესტიციო ქონებად სამომავლო გამოყენებისთვის.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საინვესტიციო ქონების შეფასება განხორციელდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელსაც გააჩნია შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. შეფასებული სამართლიანი ღირებულება განხილულია როგორც პირობითი საწყისი ღირებულება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება ცვეთის თანხით შემცირებული ღირებულებით. საინვესტიციო ქონების მომსახურების ვადა განსაზღვრულია 25-50 წლით.

4.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამოქვეყნების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემული მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.6 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

4.7 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ხარჯით.

4.8 სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის სააქციო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად აქციონერთა შენატანია.

4.9 შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და მისი შეფასება მოხდება საიმედოდ მიუხედავად გადახდის განხორციელების თარიღისა. შემოსავალი ფასდება ანაზღაურებული ან ასანაზღაურებელი საკომპენსაციო თანხის საბაზრო ღირებულებით, კონტრაქტით განსაზღვრული გადახდის ვადისა და დასაბეგრი თანხის გათვალისწინებით.

4.10 საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით საიჯარო პერიოდში და შედის შემოსავლის შემადგენლობაში მისი საოპერაციო ტიპიდან გამომდინარე.

სს ისანი-ქართუ

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.11 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-დეკ-17	1-იან-17
აშშ დოლარი	2.5922	2.6468
ევრო	3.1044	2.7940

4.12 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები) ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასის-ის მიხედვით და არ არის თანდართული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

4.13 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიყენა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მოუღია. მათგან სავარაუდოდ შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოახდენს გავლენას კომპანიის ოპერაციებზე. კომპანია გეგმავს, რომ მიიღოს ეს სტანდარტები და ინტერპრეტაციები, მათი ძალაში შესვლის მომენტიდან.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფასს 9 მიზნად ისახავს ჩაანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე. მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამომანგარიშების, ახალ სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელს და ჰეჯირების ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე მოიცავს IAS 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება-არ აღიარების მითითებებს. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დრე დანერგვაც.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.13 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლების აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები და ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისთვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი, შემოსავლების გამჟღავნების შესახებ, წარმოადგენს გაუმჯობესებულ მითითებებს, ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადაძლე ადრე დანერგვაც.

ფასს 16 - იჯარა

2016 წლის იანვარში ბასსს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ზარჯი და საამორტიზაციო ანარეცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება.

კომპანია აფასებს აღნიშნული ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სს ისანი-ქართუ

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

საინვესტიციო ქონების მომსახურების ვადა – საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

შენიშვნა 6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-17	1-იან-17
ფული სალაროში	1,658	11,303
ფული ბანკში	26,028	25,129
სულ	27,686	36,432

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ბანკებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა.

სს ისანი-ქართუ

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 7 დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს დაკავშირებული მხარისგან მისაღებ საიჯარო გადასახადს.

შენიშვნა 8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ჯგუფი	ნარჩენი ღირებულება	
	31-დეკ-17	1-იან-17
გადამცემი მოწყობილობა	187,717	213,464
გატობის და სავენტილაციო მოწყობილობები	25,409	28,851
სხვა სატრ. მოწყობილობა	4,377	5,002
ოფისის აღჭურვილობა	233	233
სულ ძირითადი საშუალებები	217,736	247,550

შენიშვნა 9 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 14,141 კვ.მ., 13,207 კვ.მ., და 345 კვ.მ. მიწას და მასთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს.

სს ისანი-ქართუ

ფინანსური ანგარიშგების აზსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 10 საგადასახადო ვალდებულება

	31-დეკ-17	1-იან-17
გადასახდელი მოგების გადასახადი	(8,076)	(7,076)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	223	255
გადასახდელი დღგ	6,639	6,905
სოციალური გადასახადი	1,516	1,516
ქონების გადასახადი	15,714	16,707
არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი	1,805	2,526
სულ საგადასახადო აქტივები / (საგადასახადო ვალდებულებები)	17,821	20,833

შენიშვნა 11 სააქციო კაპიტალი

სს "ისანი-ქართუ"-ს სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია საზოგადოების წესდების თანახმად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სააქციო კაპიტალის დეტალები 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	წილი სააქციო კაპიტალში	სააქციო კაპიტალის თანხა
სს ქართუ ჯგუფი	2,222,811	93.07%	3,411,125
სს საქართ. ფასიანი ქაღ. ცენტრ. დეპოზიტარი	69,228	2.90%	106,237
სს ს/კ ვანო და კომპანია	-	0.00%	-
RIGOLD FINANSE LIMITED	20,471	0.86%	31,415
სს ცენტრალური საინვესტიციო კომპანია	16,447	0.69%	25,240
სხვა 1,104 აქციონერი	59,479	2.49%	91,276
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,388,436	100 %	3,665,293

აქციონერი	აქციების რაოდენობა	წილი სააქციო კაპიტალში	სააქციო კაპიტალის თანხა
სს ქართუ ჯგუფი	2,221,417	93.01%	3,408,986
სს საქართ. ფასიანი ქაღ. ცენტრ. დეპოზიტარი	-	0.00%	-
სს ს/კ ვანო და კომპანია	69,228	2.90%	106,237
RIGOLD FINANSE LIMITED	20,471	0.86%	31,415
სს ცენტრალური საინვესტიციო კომპანია	16,447	0.69%	25,240
სხვა 1,104 აქციონერი	60,872	2.55%	93,416
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2,388,435	100%	3,665,293

სს ისანი-ქართუ
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 12 შემოსავლები

კომპანიას აქვს შემდეგი ძირითადი ტიპის შემოსავალი:

შემოსავლები	31-დეკ-17
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	900,269
სხვა შემოსავალი	244
სულ შემოსავლები	900,513

შენიშვნა 13 ფინანსური რისკების მართვა

13.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკის წარმოქმნა დაკავშირებულია მომავალ კომერციულ ტრანზაქციებზე, აქტივებზე, ვალდებულებებსა და ინვესტიციებზე. სავალუტო რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მომავალი კომერციული ტრანზაქციები, აქტივები ან ვალდებულებები დენომინირებულნი არიან კომპანიის არასააღრიცხვო ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში). ამ ცხრილის კომპონენტებს წარმოადგენენ, ვალუტების მიხედვით დაყოფილი, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რაოდენობები.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
		1 დოლარი =	1 ევრო =	
		2.5922 ლარს	3.1044 ლარს	
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	27,686	-	-	27,686
დებიტორული დავალიანება	836,311	-	-	836,311
სულ	863,997	-	-	863,997
ფინანსური ვალდებულებები				
საეჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები	36,482	-	-	36,482
სულ	36,482	-	-	36,482
წმინდა სავალუტო პოზიცია	827,515	-	-	

სს ისანი-ქართუ

ფინანსური ანგარიშგების აზსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 13 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2017 წლის 1 იანვრისთვის	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
		1 დოლარი =	1 ევრო =	
		2.6468 ლარს	2.7940 ლარს	
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	36,432	-	-	36,432
დებიტორული დავალიანება	574,873	-	-	574,873
სულ	611,305	-	-	611,305
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები	57,624	-	-	57,624
სულ	57,624	-	-	57,624
წმინდა საგალუტო პოზიცია	553,681	-	-	

როგორც ცხრილი გვიჩვენებს, კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს მასზე გავლენა არ ექნება.

13.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიმართ არსებული ვალდებულებების დროულად დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის არაწარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, დარჩენილი მოსალოდნელი ვადიანობისა და არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	27,686	-	-	27,686
დებიტორული დავალიანება	836,311	-	-	836,311
სულ	863,997	-	-	863,997
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები	36,482	-	-	36,482
სულ	36,482	-	-	36,482
ლიკვიდურობის სხვაობა	827,515	-	-	827,515
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	827,515	827,515	827,515	

სს ისანი-ქართუ

ფინანსური ანგარიშგების აზსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 13 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

13.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

2017 წლის 1 იანვრისთვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	36,432	-	-	36,432
დებიტორული დავალიანება	574,873	-	-	574,873
სულ	611,305	-	-	611,305
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები	57,624	-	-	57,624
სულ	57,624	-	-	57,624
ლიკვიდურობის სხვაობა	553,681	-	-	553,681
შემატდა ლიკვიდურობის სხვაობა	553,681	553,681	553,681	

13.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, დებიტორული დავალიანებადან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისათვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-17	01-იან-17
ფული და ფულის ეკვივალენტები	27,686	36,432
დებიტორული დავალიანება	836,311	574,873
სულ	863,997	611,305

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს დაკავშირებულ მხარესთან მოთხოვნას.

შენიშვნა 14 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

14.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

14.2 რეალური ღირებულების იერარქია

ჯგუფი იყენებს შემდეგ იერარქიას რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის:

დონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

დონე 2 შემაჯავლი მონაცემები, გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემაჯავლი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

დონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემაჯავლი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სს ისანი-ქართუ

ფინანსური ანგარიშგების აზსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 15 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	დებიტორული დავალიანება	გადასახდ. ხელფასი
სხვა დაკავშირებული მხარეები	831,358	-
სულ	831,358	-

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 1-იან-2017	დებიტორული დავალიანება	გადასახდ. ხელფასი
სხვა დაკავშირებული მხარეები	567,599	-
სულ	567,599	-

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წელი	შემოსავალი	ხელფასის ხარჯი
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	25,670
სხვა დაკავშირებული მხარეები	828,484	-
სულ	828,484	25,670

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2016 წელი	შემოსავალი	ხელფასის ხარჯი
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	22,563
სხვა დაკავშირებული მხარეები	830,344	-
სულ	830,344	22,563

შენიშვნა 16 პირობითი ვალდებულებები

16.1 სასამართლო დავები

ანგარიშგების თარიღისათვის ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

შენიშვნა 17 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 18 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

Morison Georgia, LLC

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სს ისანი-ქართუს პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება სს ისანი ქართუს ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 12 დეკემბერს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2018 წლის 17 დეკემბერს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიაძე

17 დეკემბერი 2018 წელი

საქართველო, თბილისი



ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

6 Marjanishvili Str | 0102 | Tbilisi, Georgia

office +995 322 000 123

info@morison.ge | www.morison.ge

Audit | Accounting | Tax & Legal | Valuation | Business Consulting

Morison Georgia is a member of the Morison KSi, a global association of leading professional service firms, established to meet the cross-border accounting, auditing, tax and business consulting needs of clients.

მორისონ ჯორჯია არის გლობალური პროფესიული მომსახურების გამწვევი ფირმების გაერთიანება Morison KSi - ის წევრი. გაერთიანება შექმნილია რათა დააკმაყოფილოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კლიენტების საბუღალტრო, აუდიტური საგადასახადო და სხვა ბიზნეს საკონსულტაციო მოთხოვნები.

მმართველობითი ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

ს.ს “ისანი-ქართუ” (ს/კ 206026423) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას (სს-ს) იგი მდებარეობს ქობილისი და მისი იურ/ფაქტ მისამართია:

საქართველო, ქობილისი, ისანი-სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. №116ა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მისი კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონების გაქირავება.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოებას ჰყავს 1108 დამფუძნებელი. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3,665,293,00 ლარს.

საზოგადოების განვითარების გეგმები

საზოგადოებას განვითარებისათვის ფორმალიზირებული დაგეგმილი პროექტები არ გააჩნია. საზოგადოების გრძელვადიანი გეგმა არსებული კლიენტების შენარჩუნება.

საზოგადოების მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა

საზოგადოება არ ახორციელებს არანაირ კვლევებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

დღეის მდგომარეობით ს.ს “ისანი-ქართუ” არ არის წარმოდგენილი ბაზარზე ფილიალებით.

ჯუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

წარმოვადგენთ კომპანიის 2017 და 2016 წლების საოპერაციო მოგების მაჩვენებელს პროცენტის, გადასახადების და ცვეთის გამოკლებამდე (EBITDA)

წინდა საოპერაციო მოგება (EBITDA)		ამ ცხრილის მიხედვით, თვასაჩინოა 2017 წლის საოპერაციო მოგების ზრდა 2016 წელთან მიმართებაში	
187088			
105284			
	2017წ		2016წ

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანია ორგანიზაციულ სამართლებრივი სტრუქტურით წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას. კომპანიას არ განუხორციელებია საკუთარი აქციების გამოსყიდვა.

წლიური ფინანსური ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები კომპანიას არ გააჩნია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური რისკების და გაურკვევლობების შესახებ გთხოვთ იხილოთ ს.ს “ისანი-ქართუ”-ს დეტალური ფინანსური მაჩვენებლების 2017 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისათვის ფინანსურ ანგარიშგებაში.

თარიღი: 17 დეკემბერი 2018 წელი

დირექტორი ავთანდილ ჯანაშია

მთ. ბუღალტერი

ლოტბარ ჩხარტიშვილი